სკოლა ,,პეგასის” სამოქმდო გეგმის შესრულების ანგარიში 2025-2026 სასწავლო წელი

სკოლის დირექტორის მოადგილე
ციალა გაგნიძე
29.06.2026

სკოლა "პეგასმა" 2025-2026 სასწავლო წელს წარმატებით განახორციელა სამოქმედო გეგმა, რომელიც მიმართული იყო სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლებაზე, ადამიანური რესურსების განვითარებაზე, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესებაზე, ფინანსური მდგრადობის უზრუნველყოფაზე, უსაფრთხო და ორგანიზებული გარემოს შექმნაზე, სასკოლო საზოგადოების ჩართულობის გაზრდაზე, მოსწავლეთა მხარდაჭერაზე და ორგანიზაციულ განვითარებაზე.

სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლების მიმართულებით მიმდინარე პერიოდში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო პროექტების დაგეგმვასა და მათ პრაქტიკულ იმპლემენტაციას. აღნიშნული მიდგომა მიზნად ისახავდა მოსწავლეთა შემოქმედებითი და ანალიტიკური უნარების განვითარებას, აგრეთვე მათი ჩართულობის გაზრდას სასწავლო აქტივობებში.

ამ მიმართულებით მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ მოსწავლეებმა არაფორმალური განათლების ფარგლებში დამოუკიდებლად განახორციელეს მრავალფეროვანი აქტივობა და თავადვე დაგეგმეს პროექტები. მასწავლებელთა როლი ამ პროცესში მხოლოდ ფასილიტაციით შემოიფარგლა, რაც კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს სკოლის მისიით განსაზღვრულ თავისუფალ სასწავლო გარემოს, სადაც მოსწავლეებს ეძლევათ დამოუკიდებლად მოქმედების, გადაწყვეტილებების მიღებისა და პასუხისმგებლობის აღების შესაძლებლობა. სწორედ ასეთი მიდგომა უზრუნველყოფს მოსწავლეთა, როგორც თვითმყოფადი და ინიციატივიანი პიროვნებების, ჩამოყალიბებას.

ცალკე უნდა აღინიშნოს გაეროს მოდელირების (Model UN) პროგრამაში მოსწავლეთა აქტიური მონაწილეობა და მიღწეული წარმატება, რომელიც საერთაშორისო დონეზეც დაფასდა. ამ წარმატების თვალსაჩინო შედეგი გახდა მოსწავლეთა სტუმრობა ბრიუსელში გაეროს მოდელირების პროგრამის ფარგლებში, რაც უზრუნველყოფილი იყო 100%-იანი და 50%-იანი თანადაფინანსებით. ეს მიღწევა ცხადყოფს, რომ სკოლა წარმატებით ახდენს მოსწავლეთა ინტეგრირებას საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში.

აღნიშნული პროცესი მომავალშიც გაგრძელდება — ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე ჩვენი სკოლის 17 მოსწავლე ეწვევა როგორც ევროპის რიგ ქვეყნებს, ასევე იაპონიას. ეს ვიზიტები მოსწავლეებს მისცემს განსხვავებული კულტურის, საგანმანათლებლო სისტემებისა და საერთაშორისო გამოცდილების გაცნობის შესაძლებლობას, რაც კიდევ უფრო გააძლიერებს მათ პიროვნულ და აკადემიურ განვითარებას.

ადამიანური რესურსების განვითარების კუთხით, განხორციელდა მასწავლებელთა პროფესიული გადამზადება. ამ მიმართულებით აქტიური თანამშრომლობა გვქონდა გამომცემლობა „English Book“-თან, რომელმაც უზრუნველყო როგორც ინგლისური ენის, ისე მათემატიკის მასწავლებელთა პროფესიული განვითარება.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო სასწავლო წლის ბოლოს ჩატარებული ტრენინგი „ხელოვნური ინტელექტი სასწავლო პროცესში“, რომელიც „English Book“-მა მათემატიკის მასწავლებლებს შესთავაზა. მიმაჩნია, რომ აღნიშნული ცოდნა მნიშვნელოვნად გააადვილებს სასწავლო პროცესში მოსწავლეთათვის საინტერესო და თანამედროვე აქტივობების დაგეგმვას.

ასევე ჩატარდა ტრენინგი „პერსონალური მონაცემების შესახებ“, რომელმაც ხელი შეუწყო მასწავლებელთა ცნობიერების ამაღლებას როგორც მოსწავლეთა, ისე მათივე პერსონალური მონაცემების დაცვის მნიშვნელობასთან დაკავშირებით.

გარდა ამისა, „სულაკაურის გამომცემლობის“ მიერ ორგანიზებულ სამუშაო შეხვედრებში მონაწილეობა მიიღეს დაწყებითი საფეხურის მასწავლებლებმა. აღნიშნულმა შეხვედრებმა მათ საშუალება მისცა გაეზიარებინათ დაწყებით საფეხურზე კლასის მართვასთან დაკავშირებული პრაქტიკა და გამოცდილება, რაც ხელს უწყობს პროფესიული უნარების მუდმივ სრულყოფას.

მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესების მიზნით, განახლდა სასწავლო ინვენტარი, ბიბლიოთეკის ფონდი და გაუმჯობესდა სკოლის საინფორმაციო ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა, რაც ხელს უწყობს სასწავლო პროცესის ეფექტურობას.

ფინანსური მდგრადობის უზრუნველსაყოფად გაუმჯობესდა ფინანსური მართვის სისტემა-სრულად შეივსო მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობა, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს სკოლის მიმართ არსებული მოთხოვნის ზრდასა და მშობელთა მხრიდან სასწავლო დაწესებულების მიმართ ნდობის მაღალ ხარისხს.

უსაფრთხო და ორგანიზებული გარემოს შესაქმნელად, გატარდა პრევენციული ღონისძიებები, გამკაცრდა კონტროლი სკოლის ტერიტორიაზე. კერძოდ, გარე შემოსასვლელ კართან დამონტაჟდა სათვალთვალო კამერა, რომელზე წვდომაც უზრუნველყოფილია შიდა სივრცეში. აღნიშნული საშუალებას გვაძლევს, მოვახდინოთ სკოლის ტერიტორიაზე შემომსვლელი ყველა პირის იდენტიფიცირება, რაც მნიშვნელოვნად ზრდის სასწავლო გარემოს უსაფრთხოების ხარისხს.

სასკოლო საზოგადოების ჩართულობის გაზრდის მიზნით, აქტიურად წარიმართა მოსწავლეთა თვითმმართველობის საქმიანობა და მნიშვნელოვნად გაიზარდა მშობელთა ჩართულობა სასწავლო პროცესში.

განსაკუთრებით მნიშვნელოვნად მიმაჩნია გამოკითხვების კომპონენტი. ერთი მხრივ, ეს პროცესი გარკვეულ გამოწვევასთანაა დაკავშირებული, ვინაიდან მშობელთა ნაწილს, დროის მენეჯმენტიდან გამომდინარე, უჭირს კითხვარების სრულად შევსება. თუმცა, მეორე მხრივ, მიმაჩნია, რომ სწორედ ამგვარი გამოკითხვები უზრუნველყოფს მშობელთა გულწრფელ და ობიექტურ უკუკავშირს, რომელზე დაყრდნობითაც დაიგეგმება მომდევნო სასწავლო წლის საქმიანობა.

მოსწავლეთა მხარდაჭერის გასაუმჯობესებლად, დაინერგა ახალი სერვისები და პროგრამები, რომლებიც მიმართულია მოსწავლეთა აკადემიური, სოციალური და ემოციური კეთილდღეობის ხელშეწყობაზე. სასწავლო წლის ბოლოს, აქტიური თანამშრომლობა გვქონდა ორგანიზაცია ,,საფეხურთან“, რომელმაც ჩვენს მოსწავლეებს შესთავაზა საზაფხულო ბანაკი გოდერძიზე. ბანაკის თემატიკა მოიცავდა ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს, როგორიცაა ემოციური ინტელექტი, საკუთარი შესაძლებლობების რწმენა და პიროვნული განვითარება. აღნიშნულმა ინიციატივამ მოსწავლეთა შორის მოწონება დაიმსახურა და მიმაჩნია, რომ მომდევნო სასწავლო წლისთვის მსურველთა რაოდენობა კიდევ უფრო გაიზრდება.

ორგანიზაციული განვითარების კუთხით, კვლავ აქტიურად ვითანამშრომლეთ ,,ახალგაზრდა დიპლომატებთან“ ამასთანავე, გავაფორმეთ ახალი მემორანდუმი ,,საქართველოს ეროვნულ უნივერსიტეტთან“, რომელიც მოგვცემს საშუალებას, გავაუმჯობესოთ საქმიანობა როგორც მოსწავლეთა პროფესიული ორიენტაციის, ისე მასწავლებელთა პროფესიული განვითარების მიმართულებით.

ვფიქრობ, რომ ანგარიშში აღწერილმა ძირითადმა საქმიანობებმა, რომლებიც ერთგვარად 2025–2026 სასწავლო წლის მთავარ გზავნილად იქცა, მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი სამოქმედო გეგმის წარმატებით განხორციელებას. აღნიშნული კი დადებითად აისახება როგორც სასწავლო პროცესის ხარისხზე, ისე მოსწავლეთა წარმატებებსა და სკოლის რეპუტაციაზე.ქვემოთ მოცემულია ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შესრულებული ღონისძიებები.

1. სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლება

სტრატეგიული მიზნები	ამოცანები	აქტივობები	პასუხისმგებელი პირი	შესრულების პერიოდი												შესრულების ინდიკატორები	შესრულება/ ნაწილობრივ შესრულდა არ შესრულება
				IX	X	XI	XII	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII		
სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლება	ახალი პროგრამების შემუშავება/ დანერგვა	სასწავლო პროგრამების/კურიკულუმების/ შემუშავება	მასწავლებლები; საგნობრივი კათედრები;													კურიკულუმი; საგნობრივი კათედრის ოქმები; პედაგოგიური საბჭოს ოქმი;	შესრულდა
		სასკოლო დოკუმენტაციაში ცვლილებების შეტანა/საჭიროების შემთხვევაში ახლის დამტკიცება	დირექტორი; დირექტორის მოადგილე, ხარისხის მართვის მენეჯერი, სკოლის მართვის გუნდი, პედაგოგიური საბჭო;მოსწავლეთა თვითმმართველობა													შესაბამისი დოკუმენტაციის დამტკიცების მასალები	შესრულდა
		საჭიროების შემთხვევაში, სსსმ	დირექტორი; ისგ ჯგუფები;													პედაგოგიური საბჭოს ოქმი;	შესრულდა

		მოსწავლეთათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავება/სწავლება	სკოლის ფსიქოლოგი													ისგ ჯგუფის ოქმები; ფსიქოლოგის ანგარიში ინდივიდუალური გეგმები	
		მოსწავლეთათვის მრავალფეროვანი, დამატებითი სასწავლო პროგრამების შეთავაზება	დირექტორი; დირექტორის მოადგილე; საგნობრივი კათედრები; მასწავლებლები													სასკოლო კურიკულუმი; დამატებითი სასწავლო პროგრამების აღწერილობა	შესრულდა
	სასწავლო პროცესის ხარისხის გაზრდა	შიდა სასკოლო პროექტების დანერგვა და მართვა	დირექტორი; დირექტორის მოადგილე; საგნობრივი კათედრები;													პროექტის პროგრამა; ფოტო-ვიდეო მასალა	შესრულდა
		დიფერენცირებული სწავლება	დირექტორის მოადგილე; ხარისხის მართვის მენეჯერი მასწავლებლები													საგნობრივი კურიკულუმები; ინდივიდუალური გეგმები (საჭიროების შემთხვევაში)	შესრულდა
		მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვა	სკოლის დირექტორის მოადგილე, ხარისხის მართვის მენეჯერი, მასწავლებლები													კურიკულუმი; სასწავლო პროექტები;	შესრულდა
		გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი შეფასების სისტემის დანერგვა	დირექტორი; დირექტორის მოადგილე,მასწავლებლები, ხარისხის													კურიკულუმი; სქულბუქი, პირადი საქმეები	შესრულდა

			მართვის მენეჯერი															
		დაბალი აკადემიური მოსწრების მოსწავლეებთან დამატებითი მუშაობა	დირექტორის მოადგილე; კათედრის ხელმძღვანელები, მასწავლებლები													მოსწავლის აკადემიური მხარდაჭერა, მოსწავლეთა სამედაცინო გრაფიკები.	შესრულდა
	სასწავლო პროცესის მონიტორინგი და შედეგების გათვალისწინებით შესაბამისი აქტივობების დაგეგმვა/ განხორციელება	სხვადასხვა ტიპის კითხვარების შემუშავება. მოსწავლეთა, მასწავლებელთა და მშობელთა პერიოდული გამოკითხვა სასწავლო პროცესთან დაკავშირებული საჭიროებების კვლევის მიზნით	ხარისხის მართვის მენეჯერი, დირექტორის მოადგილე;													კითხვარები	შესრულდა
		სასწავლო პროცესის დიაგნოსტიკური წერების ჩატარება	დირექტორი; დირექტორის მოადგილე;ხარისიხის მართვის მენეჯერი, კათედრის ხელმძრვანელები													ჩატარებული წერის ანალიზი, კათედრის სხდომის ოქმები.	შესრულდა
		სასწავლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, მოსწავლეთა მიღწევების დინამიკის შესწავლა და პერიოდულად	დირექტორი; დირექტორის მოადგილე;ხარისხის მართვის მენეჯერი													განხორციელებული მონიტორინგის ანგარიშები	ნაწილობრივ შესრულდა

		მონიტორინგის ჩატარება																
		სასკოლო სასწავლო გეგმის შესრულების მონიტორინგი	დირექტორი; დირექტორის მოადგილე; ხარისხს მართვის მენეჯერი														განხორციელებული მონიტორინგის ანგარიშები	შესრულდა
		საგაკვეთილო პროცესზე დასწრება, შედეგების ანალიზი და შესაბამისი ღონისძიებების დაგეგმვა/განხორციელება	დირექტორი; დირექტორის მოადგილე; ხარისხის მართვის მენეჯერი, კათედრის ხელმძღვანელები														გაკვეთილზე დასწრების შედეგები და მისი ანალიზი; ხარისხის მართვის მენეჯერის ანგარიში ურთიერთდასწრების შედეგები	შესრულდა
	აკადემიური მოსწრების გაუმჯობესებისთვის მოსწავლეებში მოტივაციის გაზრდა	მოსწავლეთა მოტივაციის გაზრდა, მოიპოვონ დაფინანსება და პროფესიას დაეუფლონ პრესტიჟულ უმაღლეს სასწავლებლებში	დირექტორი; დამრიგებლები მასწავლებლები														მოსწავლეთა უმაღლეს სასწავლებლებში ჩარიცხვის დინამიკა;	შესრულდა
		მოსწავლეთა მიღწევების დინამიკის შესწავლის შედეგად საუკეთესო მოსწავლეთა წახალისების	დირექტორი; დირექტორის მოადგილე; საგნობრივი კათედრები;														წახალისების შესახებ გადაწყვეტილებები	ნაწილობრივ შესრულდა

		პრაქტიკის დამკვიდრება																
		მოსწავლეთათვის მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემოს შექმნა	დირექტორი; მასწავლებლები														კურიკულუმი; სხვადასხვა პროექტები	შესრულდა
		ოლიმპიადებში, კონფერენციებსა და პროექტებში მოსწავლეთა ჩართვა და წარმატებული მოსწავლეების წახალისება	დირექტორი; მასწავლებლები														კონფერენციებში, პროექტებში და ოლიმპიადებში მონაწილეობის შედეგები, ფოტო-ვიდეო მასალა	შესრულდა

2. ადამიანური რესურსის განვითარება

სტრატეგიული მიზნები	ამოცანები	აქტივობები	პასუხისმგებელი პირი	შესრულების პერიოდი												შესრულების ინდიკატორები	შესრულება/ნაწილობრივ შესრულება/არ შესრულება
				IX	X	XI	XII	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII		
ადამიანური რესურსის განვითარება	პერსონალის მართვის პოლიტიკის და პრაქტიკის გაუმჯობესება	პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკის დანერგვა	დირექტორი; დირექტორის მოადგილე; საკონკურსო კომისია													სკოლის პერსონალის მართვის პოლიტიკის განმსაზღვრელი დოკუმენტი; შინაგანაწესი;	შესრულდა
		პერსონალის მართვისას მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპების დანერგვა	დირექტორი; საგნობრივი კათედრები;													კათედრების, პედაგოგიური საბჭოს მუშაობის ამსახველი დოკუმენტაცია;	შესრულდა
		თანამშრომელთა სამუშაო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმის დანერგვა	დირექტორის მოადგილე; კათედრის ხელმძღვანელები													აქტივობები; ახალ თანამშრომელთან გასაუბრებები, შრომითი ხელშეკრულებები.	შესრულდა
		ადამიანური რესურსის მუდმივი განვითარება	დირექტორი; დირექტორის მოადგილე; ხარისხის მართვის მენეჯერი													ხარისხის მართვის მენეჯერი ანგარიში, დასაქმებულთა პირადი საქმეები	შესრულდა

	აკადემიური კორპუსის გაძლიერების მიზნით კადრების მოზიდვა	ობიექტურობისა და გამჭვირვალობის პრინციპების დაცვით პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვა და დასაქმება	დირექტორი, დირექტორის მოადგილე, საკონკურსო კომისია														პერსონალის შერჩევის/დანიშვნის პროცესის ამსახველი დოკუმენტაცია;	შესრულდა
	ადმინისტრაციული/აკადემიური პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების ხელშემწყობი ღონისძიებების ორგანიზება	თანამშრომელთა პროფესიული საჭიროებების კვლევა	დირექტორი; დირექტორის მოადგილე; ხარისხის მართვის მენეჯერი														კითხვარების ანალიზი; კათედრების ურთიერთდასწრების შესახებ შევსებული ფორმები	შესრულდა
		თანამშრომელთა განვითარებისთვის საჭირო ტრენინგების, სემინარების, სამუშაო შეხვედრების დაგეგმვა	დირექტორი; დირექტორის მოადგილე; ხარისხის მართვის მენეჯერი														ტრენინგების ჩატარების დამადასტურებელი დოკუმენტაცია; ტრენინგებზე დასწრების ამსახველი ფოტო-ვიდეო მასალა	შესრულდა
		ტრენინგებზე მიღებული ცოდნის პრაქტიკაში დანერგვის ხელშეწყობა	დირექტორი; დირექტორის მოადგილე; ხარისხის მართვის მენეჯერი														ჩატარებული გაკვეთილები , პროექტები და საგნობრივი კურიკულუმები	შესრულდა
		მაძიებლობის სტატუსის მქონე	დირექტორი, დირექტორის														ცნობა მაძიებლობის შესახებ, ტუტორის	შესრულდა

		მასწავლებლებთან ტუტორების აქტიური მუშაობა და საჭიროების შემთხვევაში შიდა სასკოლო კონსულტაციების გამართვა	მოადგილე, ტუტორები														რეკომენდაცია, ანგარიშები	
		მასწავლებელთა წახალისების სისტემის დანერგვა	დირექტორი														შინაგანაწესი; წახალისების შესახებ გადაწყვეტილებები	შესრულდა
		გაკვეთილებზე დასწრება და მასწავლებლებისათვის უკუკავშირის გაზიარება	ხარისხის მართვის მენეჯერი, სკოლის დირექტორის მოადგილე														უკუკავშირის შეფასების ფორმები	შესრულდა
		მასწავლებლებს შორის გამოცდილების გაზიარება, რეკომენდაციების შემუშავება სწავლა-სწავლების თანამედროვე მეთოდოლოგიების და მიდგომების დანერგვასთან დაკავშირებით, მასწავლებელთა კოორდინირებული მუშაობა	საგნობრივი კათედრები														საგნობრივი კათედრების ოქმები; ურთიერთდასწრების შედეგები	შესრულდა

3. მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება

სტრატეგიული მიზნები	ამოცანები	აქტივობები	პასუხისმგებელი პირი	შესრულების პერიოდი													
				IX	X	XI	XII	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	შესრულების ინდიკატორები	რესურსები
მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება	ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება;	სკოლის კეთილმოწყობა, არსებული მდგომარეობის შენარჩუნება და განვითარება	დირექტორი, დირექტორის მოადგილე - მატერიალურ ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი													ვიზუალური დათვალიერება	შესრულდა
		ინვენტარის და სხვა მასალების შეძენა (საჭიროებისამებრ)	დირექტორი, მოადგილე- მატერიალურ ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი, ბუღალტერი													შესყიდვის ხელშეკრულებები, მიღება-ჩაბარების აქტები	შესრულდა
		საჭიროების შემთხვევაში კოსმეტიკური სარემონტო სამუშაოების ჩატარება	დირექტორი,მოადგილე - მატერიალურ ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი													შესყიდვის ხელშეკრულება	შესრულდა
	საგანმანათლებლო/ სასწავლო რესურსების განახლება/შევსება	წიგნადი ფონდის შევსება, საგანმანათლებლო ელექტრონული რესურსების მოძიება	დირექტორი, ბიბლიოთეკარი													შესყიდვის დოკუმენტაცია; მიღება-ჩაბარების აქტები	შესრულდა

		ფიზიკის, ქიმიისა და ბიოლოგიის კაბინეტების ცდების ჩატარებისათვის აუცილებელი მასალებით მომარაგება	დირექტორი, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრა													შესყიდვის დოკუმენტაცია; მიღება-ჩაბარების აქტები	ნაწილობრივ შესრულდა
		მასწავლებლისათვის მეთოდური და დამხმარე ლიტერატურის შეძენა	დირექტორი,დირექტორის მოადგილე მასწავლებლები													შესყიდვის დოკუმენტაცია; მიღება-ჩაბარების აქტები	შესრულდა
		სპორტული ინვენტარის განახლება	დირექტორი, სპორტის მასწავლებელი													შესყიდვის დოკუმენტაცია; მიღება-ჩაბარების აქტები	ნაწილობრივ შესრულდა
	საინფორმაციო რესურსების გაუმჯობესება	სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება	დირექტორი; საინფორმაციო მენჯერი; IT სპეციალისტი													მიღება ჩაბარების დოკუმენტაცია	შესრულდა

		ოფიციალური ვებ-გვერდისა და საკომუნიკაციო არხების განვითარება და მუდმივი განახლება	დირექტორი; საინფორმაციო მენჯერი;საქმისმწარმოებელი													ვებ - გვერდი; სოციალურ ქსელებში არსებული ოფიციალური გვერდები; მეილი	ნაწილობრივ შესრულდა
	ფინანსური მდგრადობა	დამატებითი ეკონომიკური შემოსავლების მოძიება	დირექტორი; ბუღალტერი													ეკონომიკური საქმიანობის ამსახველი ხელშეკრულებები;	შესრულდა
		ფინანსური რესურსების მართვის გაუმჯობესება	დირექტორი; ბუღალტერი													ბუღალტერის ანგარიში; ბიუჯეტის მონიტორინგის შედეგები	შესრულება
		ფინანსური რესურსების მართვის მონიტორინგი	ბუღალტერი, დირექტორი, ფინანსური მენეჯერი													ბუღალტრის, აუდიტის ანგარიში	შესრულება

4. უსაფრთხო, ორგანიზებული და დისციპლინირებული გარემოს უზრუნველყოფა

სტრატეგიული მიზნები	ამოცანები	აქტივობები	პასუხისმგებელი პირი	შესრულების პერიოდი												შესრულების ინდიკატორები	შესრულება/ ნაწილობრივ შესრულება/არ შესრულება
				IX	X	XI	XII	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII		
უსაფრთხო, ორგანიზებული და დისციპლინირებული გარემოს უზრუნველყოფა	საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა	სკოლის შიდა და გარე ტერიტორიის დაცვა	დირექტორი, მორიგე მასწავლებელი													ვიდეო ჩანაწერები;	ნაწილობრივ შესრულება
		სასკოლო სივრცეში არსებული წესების სასკოლო საზოგადოებისათვის გაცნობა	დირექცია; დამრიგებლები													მშობლებთან, მოსწავლეებთან შეხვედრები	შესრულდა
		სასკოლო სივრცეში არსებული წესების დაცვა	სასკოლო საზოგადოება													ვიდეო ჩანაწერები;	შესრულდა
		პოზიტიური გარემოს შექმნა	სკოლაში დასაქმებული ყველა პირი													მრავალწლიანი დასაქმებული პირების ხელშეკრულებები	შესრულება
	უსაფრთხოების ნორმების დაცვა	ხანძარსაწინააღმდეგო პრევენციული ღონისძიებების განხორციელება და სკოლაში არსებული ხანძარსაწინააღმდეგო სისტემის ფუნქციონირების კონტროლი	დირექტორი; ხანძარსაწინააღმდეგო სისტემაზე პასუხისმგებელი პირი													ბრძანება	ნაწილობრივ შესრულება
		სახანძრო უსაფრთხოების წესების გაცნობა	დირექტორი, დირექტორის მოადგილე, დამრიგებლები, ხანძარსაწინააღმდეგო სისტემაზე პასუხისმგებელი პირი; საგანგებო შტაბი													ბრძანება	შესრულება

		სპეციალური სწავლება სახანძრო უსაფრთხოების წესებისა და საგანგებო სიტუაციებში ქცევის წესების შესახებ	დირექტორი, დირექტორის მოადგილე, დამრიგებლები, ხანძარსაწინააღმდეგო სისტემაზე პასუხისმგებელი პირი; საგანგებო შტაბი														ვიდეო ჩანაწერები;	შესრულდა
	უსაფრთხოების ნორმების დაცვის მიზნით პრევენციული ღონისძიებების განხორციელება	ვიდეო კამერების მონიტორინგი	დირექტორი														ვიდეო ჩანაწერები;	შესრულდა
		მასწავლებელთა მორიგეობის სისტემის შექმნა	დირექტორი, დირექტორის მოადგილე მორიგე მასწავლებელი														მორიგეობის განრიგი	შესრულდა
		სკოლის ტერიტორიაზე ვიზიტორთა აღრიცხვა	მორიგე მასწავლებელი														ვიზიტორთა აღრიცხვის ჟურნალი, აღრიცხვის ელექტრონული ჟურნალი.	შესრულდა
		ცნობიერების ამაღლების მიზნით მშობლებთან და მოსწავლეებთან შეხვედრების ორგანიზება	დირექტორი, დირექტორის მოადგილე, დამრიგებლები														ანგარიშები.	შესრულდა

5. სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

სტრატეგიული მიზნები	ამოცანები	აქტივობები	პასუხისმგებელი პირი	შესრულების პერიოდი												შესრულების ინდიკატორები	შესრულება/ ნაწილობრივ შესრულება/ არ შესრულება
				IX	X	XI	XII	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII		
სასკოლო საზოგადოების ჩართულობა	მოსწავლეთა თვითმმართველობის აქტივობების გაზრდა	მოსწავლეთა თვითმმართველობის არჩევნების ჩატარება	დირექტორი, დამრიგებლები,													თვითმმართველობის არჩევნების ჩატარების წესი; თვითმმართველობის დებულება; თვითმართველობის ოქმები	შესრულდა
		სკოლის თვითმმართველობის ინიციატივების მხარდაჭერა	დირექტორი, დირექტორის მოადგილე, დამრიგებლები													თვითმმართველობის ინიციატივით ჩატარებული აქტივობები	შესრულდა
	მშობელთა ჩართულობა სასწავლო-აღმზრდელობით პროცესში	მშობელთა კმაყოფილების კვლევა, შედეგების გათვალისწინებით, სასწავლო პროცესის დახვეწა/გაუმჯობესება	დირექტორის მოადგილე; დამრიგებლები													გამოკითხვა, შეხვედრები	შესრულდა
		მშობლების მონაწილეობით სხვადასხვა ღონისძიებებისა და პროექტების ორგანიზება	დირექტორის მოადგილე; საფეხურის კოორდინატორი, კლუბების ფასილიტატორები, დამრიგებლები													ფოტო ვიდეო მასალა	არსებული რესურსი
	მშობლებთან ურთიერთობე	მშობელთა კრებების ორგანიზება	დირექტორის მოადგილე; დამრიგებლები														შესრულდა

	ბის ფორმების დახვეწა	მშობლებთან ინდივიდუალური შეხვედრების ორგანიზება	დირექტორის მოადგილე; დამრიგებლები; მასწავლებლები													შეხვედრის დამადასტურებელი ხელმოწერები.	შესრულდა
		ელექტრონული ჟურნალის მეშვეობით ყოველდღიური კომუნიკაცია	დირექტორის მოადგილე, დამრიგებლები, მასწავლებელი													მონიტორინგი; ელექტრონული ჟურნალი	შესრულდა
		დამრიგებელთა მიერ მშობლებთან კომუნიკაცია სხვადასხვა საკომუნიკაციო არხების გამოყენებით (მეილი, ტელეფონი, სოციალური ქსელი და ა.შ)	დამრიგებლები													მონიტორინგი; ელექტრონული ჟურნალი.	შესრულდა
	მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღების პროცესში სასკოლო საზოგადოების ჩართულობის გაზრდა	მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღებამდე, სასკოლო საზოგადოების გამოკითხვა და მიღებული შედეგების ანალიზი	დირექცია													კითხვარები	შესრულდა
	მართვის კოლეგიური ორგანოების გააქტიურება	თანამედროვე მეთოდების დანერგვასთან დაკავშირებით რეკომენდაციების შემუშავება	საგნობრივი კათედრები													კათედრების ოქმები, პედაგოგიური საბჭოს ოქმები	შესრულდა
		სწავლის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით შესაბამისი რეკომენდაციების	სკოლის მართვის ჯგუფი პედაგოგიური საბჭო, საგნობრივი კათედრები													ოქმები	შესრულდა

		შემუშავება და ინიცირება																
		სკოლაში უსაფრთხოებისა და პოზიტიური გარემოს შექმნისათვის რეკომენდაციების შემუშავება და პროექტების ორგანიზება	სკოლის მართვის გუნდი														პროექტები	შესრულდა
		გამჭვირვალე და სამართლიანი გასაჩივრების, ასევე, საჩივრების განხილვის ეფექტური სისტემის მუშაობა	დირექცია														ანგარიშების დოკუმენტები	შესრულდა

6. მოსწავლეთა მხარდაჭერის გაუმჯობესება

სტრატეგიული მიზნები	ამოცანები	აქტივობები	პასუხისმგებელი პირი	შესრულების პერიოდი												შესრულების ინდიკატორები	შესრულება/ ნაწილობრივ შესრულება/ არ შესრულება
				IX	X	XI	XII	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII		
მოსწავლეთა მხარდაჭერის გაუმჯობესება	მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის სისტემის უზრუნველყოფა	მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმის დანერგვა	დირექტორის მოადგილე; დამრიგებლები													მოსწავლის გარემოსთან ადაპტაციის მექანიზმი;	შესრულდა
		სწავლა-სწავლების პროცესში მხარდამჭერი გარემოს შექმნა და საჭიროების შემთხვევაში კონსულტაციების შეთავაზება	დირექტორი; დირექტორის მოადგილე; მასწავლებლები													მოსწავლის აკადემიური საკონსულტაციო მხარდაჭერა	შესრულდა
		კარიერული დაგეგმვის და პროფესიული ორიენტაციის ხელშეწყობა	დირექტორის მაოდგილე; დამრიგებლები													ანგარიში, ფოტო-ვიდეო მასალა.	შესრულება
	დამატებითი სერვისების განვითარება	კლუბების/წრეების ფუნქციონირება და გამრავალფეროვნება	დირექცია; კლუბის/წრის ფასილიტატორი													მასწავლებელთან გაფორმებული ხელშეკრულებები	შესრულება

		შესაბამისი სასწავლო აქტივობების დაგეგმვა (გასვლითი გაკვეთილები, მიზნობრივი ექსკურსიები და ა.შ.) ორგანიზება	დამრიგებლები; მასწავლებლები													ანგარიშები,ფოტო ვიდეო მასალა სადამრიგებლო პროგრამები	

7. ორგანიზაციული განვითარება

სტრატეგიული მიზნები	ამოცანები	აქტივობები	პასუხისმგებელი პირი	შესრულების პერიოდი												შესრულების ინდიკატორები	რესურსები
				IX	X	XI	XII	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII		
ორგანიზაციული განვითარება	სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებთან თანამშრომლობა	საქართველოს სკოლებსა და უნივერსიტეტებთან თანამშრომლობა, ერთობლივი პროექტების დაგეგმვა/ განხორციელება	დირექტორი; დირექტორის მოადგილე;													ერთობლივი პროექტები	შესრულდა
		სხვადასხვა ორგანიზაციებთან მემორანდუმების გაფორმება და თანამშრომლობა;	დირექტორი; დირექტორის მოადგილე;													ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები	შესრულდა
	სკოლის ცნობადობის გაზრდა	სკოლაში არსებული მმართველობითი პოლიტიკისა და სწავლების ხარისხის მუდმივი გაუმჯობესებით თემში სკოლის მიმართ ინტერესის გაზრდა	დირექტორი; დირექტორის მოადგილე; სასკოლო საზოგადოება													მოსწავლეთა სტატისტიკა	შესრულდა
		სკოლის სოციალური ქსელის, ვებ-გვერდის გამოყენებით სკოლის პოპულარიზაცია	დირექტორი; საქმისმისმწარმოებელი													ვებ-გვერდი; სოციალური ქსელი;	ნაწილობრივ შესრულდა
		მოსწავლეთა რაოდენობის გაზრდა	დირექტორი;დირექტორის მოადგილე													სტატისტიკა	შესრულდა
	სრული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების თვითშეფასება	სკოლის თვითშეფასების პროცესისათვის მოსამზადებელი სამუშაოების ორგანიზება	დირექტორი; დირექტორის მოადგილე; ხარისხის მართვის მენეჯერი, საქმისმწარმოებელი, სკოლის მართვის გუნდი, აკადემიური პერსონალი													სამუშაო ჯგუფის ყველა დოკუმენტაცია	შესრულდა
		თვითშეფასების მოსამზადებელი პროცესების მონიტორინგი	დირექტორი, დირექტორის მოადგილე, ხარისხის მართვის მენეჯერი.													მონიტორინგის შედეგების ანგარიში.	შესრულდა